



ოლივერ და მარჯორი უორდროპები, ყველაზე ქართველი ბრიტანელები




პროექტი მოამზადეს სსიპ ქალაქ თბილისის №18
საჯარო სკოლის მოსწავლეებმა


უორდროპების სახელი ფართოდაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის. დიდია მათი დამსახურება საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ოლივერ და მარჯორი უორდროპები იზრდებოდნენ ლონდონში, ტრადიციულ ინგლისურ არისტოკრატიულ ოჯახში, რომელშიც ღვთის სიყვარული და პატივისცემა სუფევდა.



ოლივერი დაიბადა 1864 წლის 10 ოქტომბერს. იგი გახლდათ ბრიტანელი დიპლომატი, მოგზაური და მთარგმნელი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ინგლისელები ოდითგანვე დაინტერესებულნი იყვნენ მოგზაურობით და არც ოლივერ უორდროპი ყოფილა გამონაკლისი. მოგზაურობისას, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა საქართველოში 1887 წელს.



1919 წლის ივლისში იგი თბილისში ჩამოვიდა როგორც ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი. უორდროპი თანაუგრძნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ცდილობდა მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოეჩინა მისთვის. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ინგლისში დაბრუნებულმა ოლივერ უორდროპმა ორგანიზება გაუკეთა ქართულ ემიგრაციას და დააარსა ქართული კომიტეტი. იგი გარდაიცვალა 1948 წლის 19 ოქტომბერს 84 წლის ასაკში. დაკრძალულია ლონდონთან ახლოს, მის მშობლიურ სევენოუქსში მარჯორი უორდროპისა და მეუღლის გვერდით.



მას შემდეგ, რაც ოლივერ უორდროპმა მოინახულა ბოდბე და მოისმინა წმინდა ნინოს ისტორია, თავის ფეხმძიმე ცოლს მისწერა წერილი, რომელშიც სთხოვდა, რომ თავიანთი ქალიშვილისთვის წმინდა ნინოს სახელი დაერქმიათ.




„აღმწესი და საქართველო“
ბრიტანეთის მუზეუმი


ბოდბის მონასტრის წინამძღვრის მიერ ოლივერ უორდროპისათვის ნაჩუქარი ჯვარი და ყელსაბამი.
ოქრო, ლალი, ბრილიანტი,
მარგალიტი.

ოლივერ უორდროპის და, მარჯორი უორდროპი, დაიბადა 1869 წლის 11 ნოემბერს. ქართული ენის შესწავლას 1880-იანი წლების მიწურულს დამოუკიდებლად შეუდგა მარი ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლისა“ და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით. მარჯორიმ 1894 წელს თარგმნა და გამოაქვეყნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

მარჯორი უორდროპი დამსწრე საზოგადოებას ძველი ქართულით მისალმებია და როცა ძმისგან შეუტყვია, რომ ასეთი ქართულით აღარავინ საუბრობდა, თანამედროვე ქართული ენის შესწავლა დაუწყია.



მან თარგმნა და გამოსცა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მისი თარგმანი იმით იყო გამორჩეული სხვა დანარჩენი თარგმანებისგან, რომ ის ყველაზე მეტად ჰგავდა ორიგინალს და ამისთვის მარჯორის ინგლისურ ენაზე ისეთი სიტყვების გამოგონება დასჭირდა, როგორებიცაა „ანამწამნა“, „ანატიფნა“. გაეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას, დაუახლოვდა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებს, მეგობრობდა ი. ჭავჭავაძესთან, ივანე მაჩაბელთან; საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერა "საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები", რომელშიც გადმოსცა თავისი შთაბეჭდილებები ჩვენს დედაქალაქზე; გარდაიცვალა 1909 წლის 7 დეკემბერს. მისი გარდაცვალების შემდეგ, სერ ოლივერ უორდროპმა ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდი დააარსა, რომლის მიზანიც სტუდენტებში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის სურვილის წახალისება იყო.




„კაცი პანტერას ტყავში“

1780 წელს შექმნილი წიგნი იმერეთის მეფე სოლომონ I-ს ეკუთვნოდა. “ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი “წერეთლისეულის“ სახელითაა ცნობილი. ის გამოირჩევა რუსთველისეული “უთვალავი ფერთა“ და 87 ილუსტრაციით. XIX საუკუნეში ხელნაწერიდან 10 მინიატურა ამოუჭრიათ და საზღვარგარეთ გაუტანიათ. საბედნიეროდ, გასაყიდად და შესაფასებლად გამზადებული ხელნაწერი, პარიზში ბრიტანელ დიპლომატსა და მთარგმნელს, საქართველოს ერთგულ მეგობარს, ოლივერ უორდროპს უნახავს. უორდროპმა მინიატურების შესახებ ექვთიმე თაყაიშვილს შეატყობინა, ექვთიმემ შეიძინა მოპარული ილუსტრაციები და საქართველოში დააბრუნა. ოლივერ უორდროპისა და ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევამ კი ხელნაწერი დღეისთვის სრულყოფილი სახით შეგვინარჩუნა და შემოგვინახა. ის კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

პროექტში ჩართული მოსწავლეების მიერ მომზადებული ვიდეოს ბმული


<https://www.youtube.com/watch?v=ZXu76kUQgTc>





სამეფო "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი. ხელნაწერი სრულად დაცულია ინგლისში, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში. 1 ფურცელი კი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. გთავაზობთ ნაწყვეტს ვეფხისტყაოსნის მარჯორი უორდროპისეული თარგმანისა.





1. HE who created the firmament, by that mighty power made beings inspired from on high with souls celestial; to us men He has given the world, infinite in variety we possess it; from Him is every monarch in His likeness.
2. O one God! Thou didst create the face of every form! Shield me, give me mastery to trample on Satan, give me the longing of lovers lasting even unto death, lightening (of the burden) of sins I must bear thither with me.
3. Of that lion whom the use of lance, shield and sword adorns, of the king, the sun T'hamara, the ruby-cheeked, the jet-haired, of her I know not how I shall dare to sing the manifold praise; they who look upon her must offer her the sweets for which she hungers.

„აღმწებთნაჲ და საქანთნაჲ“

1909 წლის 5 დეკემბერს გაზეთმა „დროებამ“ მძიმე ამბავი ამცნო ქართველ ხალხს: „სამწუხარო ამბავი მოვიდა რუმინიის დედაქალაქ ბუხატიტიდან: ამ ქალაქში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი. განსვენებული თოთხმეტი წლის წინად ესტუმრა საქართველოს თავის ძმასთან ოლივერ უორდროპთან ერთად და მას შემდეგ დიდის სიყვარულით სწავლობდა ქართველთა ცხოვრებას და ლიტერატურას და აცნობდა ინგლისელებს... ინგლისელებმა თუ იციან რამე საქართველოზე და იცნობენ ქართველებს, მხოლოდ და მარტო განსვენებულის წყალობით.“ არსებობს თქმულება, რომ იგი ჭლექმა იმსხვერპლა, როგორც უამრავი ადამიანი და სიკვდილის წინ, როდესაც მას უკვე ლაპარაკი აღარ შეეძლო, თითოთ დაუწერია ჰაერში სიტყვა-საქართველო.



მარჯორი უორდროპის ხელნაწერები



„მარიტაინერი და საქართველო“

ყველაზე ქართველი ბრიტანელების, მარჯორისა და ოლივერ უორდროპების ძეგლი თბილისში, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია ქართველი ერის წინაშე!



მადლობა ყურადღებისათვის!

„აღმწესი იმ საქართველო“

პრეზენტაციაზე მუშაობდნენ:

- მარიამ ღვინიაშვილი;
- ნინო მალაზონია;
- ლუკა მოგელაძე;
- ალექსანდრე ჯაჯანიძე;
- შიო დავითაშვილი.